ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების
შესყიდვის მიზნით
(CPV – 71320000)

საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი

განცხადება
კონკურსის ჩატარების შესახებ

1.ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში ვაკის გამგეობის ტერიტორიაზე 20 საზოგადოებრივი სკვერის მოწყობისათვის, საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სკვერის ან პარკის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. კონკურსის მსვლელობისას კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ერთი საპროექტო ობიექტის **(ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. # 22**) კონცეპტუალური პროექტი, რომელიც იქნება როგორც ვიზუალური ისე ფუნქციონალური თვალსაზრით დამაკმაყოფილებელი, თანამედროვე და შემსყიდველის აუცილებელ მოთხოვნებთან შესაბამისი.
4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 35000,0 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
5. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა, 2013 წლის ბიუჯეტის ასიგნებები.
6. შესყიდვის ობიექტი:
6.1. სკვერის ან პარკის სრული არქიტექტურული და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ხელშეკრულების გაფორმებისას შემსყიდველი გამარჯვებულ კონკურსანტს განუსაზღვრავს საპროექტო ობიექტების (სულ 20) მისამართებს, ტოპო გეგმის და აზომვითი ნახაზების მითითებით, სადაც უნდა განხორციელდეს სკვერის/პარკის მშენებლობა. შემსყიდველის მიერ განსაზღვრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს მიაწოდოს ეტაპობრივად. პირველი საპროექტო ობიექტის სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღე. მომდევნო ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად (სულ ოცი), პირველი ობიექტის დოკუმენტაციის მიწოდების დღიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საპროექტო ზედამხედველობა ყოველი სკვერის/პარკის სამშენებლო პროცესში. სამშენებლო მოედანზე საპროექტო ზედამხედველობის განსახორციელებლად ვიზიტების რაოდენობას განსაზღვარს თავად მიმწოდებელი საჭიროების შესაბამისად.
მიმწოდებლის მიერ შექმნილ პროექტზე **საავტორო უფლებით სარგებლობს შემსყიდველი.**
7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
7.1. საფასური გადაიხდება ლარებში, სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: REPLGE22
მიმღები	მიმღები: სსიპ -კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	IBAN: GE52BR0000010591718543

7.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
• გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
• შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
• კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
• საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
8. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-7 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, იმ პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
11. საკონკურსო წინადადებების მიღება იწყება **2013 წლის 18 ივნისის 10: 00 საათიდან** და დასრულდება - **2013 წლის 25 ივნისს 12:00 საათზე.**
12. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება, დალუქული პაკეტის სახით უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. #10ა, ვაკის რაიონის გამგეობა მე-2 სართული საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.**
13. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება და საკონკურსო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება - **2013 წლის 25 ივნისს 12:00 საათზე.**
14. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
16. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების ეტაპობრივად გაწევის შემდეგ, თითოელი ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0,5
2	საკონკურსო წინადადების ფასი:	0,4
3	გამოცდილება (მათ შორის სპეციალისტების გამოცდილება)	0,1
სულ:	1.0	

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
19. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს:
19.1. საკონკურსო წინადადების ფასი **დანართი #2**-ის მიხედვით (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
19.2. გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური **აღწერა დანართი #3**-ის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის გათვალისწინებით შემდეგი სახით: არქიტექტურული კონცეფცია–ესკიზური პროექტის ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF-ის ფაილით) ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით და თანმიმდევრობით:

- საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები;
- სატიტულო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით;
- განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
- სკვერის/პარკის გეგმა.
- მშენებლობისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაცია (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები).

პროექტის გრაფიკული ნაწილი:
- სკვერის/პარკის გეგმა მ1:200 (გრაფიკული);
- 3D ვიზუალიზაცია (რენდერები)

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული კონცეფცია, ვიზუალური მასალა და კონცეფციის განმარტებითი ბარათი. ზემოაღნიშნული უნდა გაერთიანდეს და წარმოდგენილ იქნას ერთიანი პრეზენტაციის სახით. არქიტექტურული კონცეფცია და მისი შინაარსი წარმოადგენს ძირითად პირობას საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად. კონკურსანტმა, კონცეფციის განმარტებით ბარათში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, სადაც განხილულ იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი, გამოყენებული მასალა და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენციის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოცდილებას.
19.3. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ ანალოგიური მომსახურების მინიმუმ 3 რეალიზებული პროექტის მითითებით (ხელშეკრულების საგნის, დამკვეთის და მისი საკონტაქტო პირის ტელეფონის მითითებით);
19.4. ინფორმაცია პროექტზე მომუშავე კადრების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ;
19.5. აფიდავიტი (შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ) დანართი #1-ს მიხედვით.
20. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოითხოვება.
21. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.
22. საკონკურსო კომისიას ულება აქვს ხელშეკულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
23. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე.

24. მიწოდების პირობები:
24.1. კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ პროექტი და შემდგომი ცვლილებები წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი #3-ში მითითებული პირობების გათვალისწინებით, კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს არქიტექტურული პროექტი დაბეჭდილი სახით A3 ფორმატით და ელექტრონული ვერსიით ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით ელექტრონულ მატარებელზე, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის შესრულების სავარაუდო ვადები;
24.2. მიმწოდებლის მიერ მომზადებული ასაშენებელი სკვერების/პარკების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 400 000,00 (ოთხასი ათასი) ლარს.
24.3. მიმწოდებელი“ ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ნებართვების მისაღებად, მოუმზადოს „შემსყიდველს“ საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად.

დამატებითი ინფორმაცია: საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის #10ა, საკონტაქტო პირი: ზურაბ ბარათაშვილი ტელ: 2318838.

დანართი #1

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსოწინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - საკონკურსო წინადადების ფასი;
  - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
  - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
  - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
  - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

დანართი # 2

კონკურსანტის შეთავაზება				
რეკვიზიტები				
	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:			
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:			
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:			
	საიდენტიფიკაციო კოდი:			
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:			
	ელექტრონული მისამართი:			
	ბანკი:			
	ბანკის კოდი:			
	ანგარიშის ნომერი:			
საკონკურსო წინანადების ღირებულება				
		რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	სკვერის ან პარკის სრული არქიტექტურული და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.	20		
	*	*	**ჯამი:**	

დანართი #3

ტექნიკური დავალება

სკვერის/პარკის ტიპიური პროექტის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტერიტორიაზე მიბმა და საპროექტო ზედამხედველობა.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

1. შემსყიდველის მიერ სკვერების/პარკების ასაშენებლად განისაზღვრება კონკრეტული მისამართები (მიწის ნაკვეთის მითითებით, ტოპო გეგმით და აზომვითი ნახაზებით), რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება გამარჯვებულ კონკურსანტს. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე მიმწოდებელი იწყებს შემსყიდველთან შეთნხმებული კონცეფციის ფარგლებში კონკრეტული სკვერების/პარკების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს: არქიტექტურულ, საინჟინრო, მათ შორის ა) პროექტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების წარმოების კალენდარულ გეგმა–გრაფიკს, ბ) ხარჯთაღრიცხვას და სამუშაოთა ჩამონათვალს მოცულობების მითითებით.
3. კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახით: არქიტექტურული პროექტი დაბეჭდილი სახით A3 ფორმატით და ელექტრონული ვერსიით ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით ელექტრონულ მატარებელზე, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის დასრულების სავარაუდო ვადები;
4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საპროექტო ზედამხედველობა ყოველი სკვერის/პარკის სამშენებლო პროცესში. სამშენებლო მოედანზე საპროექტო ზედამხედველობის განსახორციელებლად ვიზიტების რაოდენობას განსაზღვრავს თავად მიმწოდებელი საჭიროების შესაბამისად. საპროექტო ზედამხედველობისას ყოველი ვიზიტის დროს მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს განხორციელებული მოქმედებების ამსახველი დოკუმენტი, სადაც დაფიქსირდება მშენებლობის წარმოების პროცესის შესაბამისობა პროექტთან.
5. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე და აუცილებელი მოთხოვნები, როგორც ვიზუალური ისე ფუნქციური თვალსაზრისით.
6. სკვერის/პარკის პროექტში უნდა იყოს გამოყენებული ნატურალური ხის მასალა(იხ. თანდართული ნატურალური ხის მასალით დამზადებული სკვერის/პარკის ელემენტები) და არგეთვე შემდეგი თანამედროვე მასალები:
- **COLORSINT** (პროდუქტი წარმოადგენს სტიროლის აკრილის ფისისგან შემდგარ მასალას. COLORSINT–ი ცვეთამედეგია, გამძლეა ამინდის, ულტრაიისფერი სქივებისა და ქიმიური ნივთიერებების აგრესიული ზემოქმედებისადმი. ზედაპირი არ სრიალებს. პროდუქტი განკუთვნილია ველოსიპედით და ქვეითად სავალი (სარბენი) ბილიკებისათვის და სკვერებში დასაგებად. იგება ასფალტის კარგად გამკვრივებულ ფენილზე. შეიძლება იყოს ლურჯი, მწვანე, ნაცრისფერი, წითელი და ნარინჯისფერი. იგება 3 ფენად.) ***ან***
- **POLYSPORT** (ფერადი საფარი სტიროლ–აკრილის ფისის საფუძველზე, მრავალფუნქციონალური, ნარჩევი ქვიშის გრანულების შემცველობით. იდეალურია სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის. გამძლეა, მზის სხივებისადმი და უამინდობისადმი მდგრადია. იგება ასფალტზე სამ ფენად.
საფარების დაგებისას დაცული უნდა იქნას დაგების ტექნოლოგია.)

არქიტექტურული გადაწყვეტა მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, არსებული ევროპული ნორმების და სტანდარტების გათვალისწინებით.

გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მაქსიმალურად მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

პროექტის შემუშავებისას შემსყიდველი ორგანიზაცია შემსრულებელს მიაწვდის მასთან არსებულ ყველა საჭირო ინფორმაციას.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულპრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო___ _____ 2013წ.

ერთის მხრივ ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“)და მეორეს მხრივ _____(შემდგომში „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

_____

_____

__

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

_____

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ საკონკურსო განცხადების 6 პუნქტში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ვაკე–საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილე ----.

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი

6.1 მომსახურეობის გაწევა განხორციელდება ვაკის რაიონის ტერიტორიაზე.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, საგარანტიო ვადები და პირობები

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდებისა და მონტაჟის განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მეოთხე მუხლის 4.5 პუნქტში მითითებული პირები).

8.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

9.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

9.3 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში.

10. ფასები

10.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

10.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

10.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდბლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ)თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდბლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

21.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელისმოწერიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

23.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

23.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

23.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
---	---



5 ქ.ხ
5 ქ.ხ
5 ქ.ხ
4617300.0
4617300.0
4617260.0
4617260.0
480780.0
480820.0
N
S
W
E
467.07
466.92
466.96
467.09
467.10
467.17
467.07
466.99
467.35
467.36
467.55
467.45
467.48
467.08
467.21
467.23
467.52
467.37
467.30
467.34
467.45
467.49
467.53
467.50
467.51
467.22
467.60
467.60
467.49
467.43
467.73
467.81
467.87
467.89
467.50
467.39
467.28
467.83
467.92
468.16
467.88
467.34
467.90
467.61
468.14
467.93
368.16
468.13
467.38
368.16
467.92
468.02
467.35
467.99
468.04
468.06
467.90
467.38
467.93
467.74
467.42
467.94
467.56
368.16
468.12
467.56
467.81
467.81
467.75